ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **17-01180644727**

თარიღი: **05.03.2018**

ადრესატი:
ალექსანდრე მიქაძე
პირადი ნომერი: 01014000569
მისამართი: თბილისი ბოდბეს ქ. N 6 ბ. 8

თქვენი N19/01173352589-17 განცხადების პასუხად გეგზავნებათ ბრძანება ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

დანართი: ბრძანების ერთი ეგზემპლარი.

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე)

გიორგი გეჯაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ ზ-19/01173352859-17

"01." 03 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, ქუჩა გორგასალი, №49-ში (საკ. კოდი №01.18.06.001.014) მდებარე **მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.**

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №2799661 26.08.2016წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქუჩა გორგასალი, №49-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

„1-3" ფასადზე: -3.20 ნიშნულზე შეცვლილია ვიტრაჟების ნახატი. „1-2" მონაკვეთში მოწყობილია სარეკლამო აბრა. ლიფტის სამანქანოს კედელზე დამატებით მოწყობილია ფრამუგა და სატელიტური ანტენა.

„ა-თ" ფასადზე: +2.65 და +5.80 ნიშნულზე, „ე-ზ" მონაკვეთში აივნებზე მოწყობილია გისოსები, ხოლო +8.95 ნიშნულზე, „დ-ე" მონაკვეთში – კონდიციონერი. +22.55 ნიშნულზე, „თ-თ" ღერძზე გაზრდილია კედლის სიგანე.

„თ-ა" ფასადზე: დამატებით მოწყობილია რიგელები. „ე-ე" ღერძთან შეცვლილია აივნების გამყოფი ტიხრების ფორმა და რამდენიმე ვიტრაჟის ნახატი. დამატებით მოწყობილია სადარბაზოში შესასვლელი ვიტრაჟები. +0.00 ნიშნულზე „ზ-ე" მონაკვეთში დამატებით მოწყობლია ფრამუგის ღიობი. „თ-ზ" მონაკვეთში შეცვლილია კედლის ფორმა და დამატებულია ბაქანი. „დ-გ" მონაკვეთში გაზრდილია პანდუსის დახრის კუთხე (შეადგენს 13 %-ს). +21.55 და +24.70 ნიშნულებზე, „ე-დ" მონაკვეთში ფანჯრების ნაცვლად მოწყობილია ფრამუგები. +21.55 ნიშნულზე, ლიფტის სამანქანოს კედელზე დამატებით მოწყობილია ფრამუგა. სადარბაზოებზე დამატებულია პარაპეტები.

„IV-I" ფასადზე: +24.50 ნიშნულზე გაზრდილია საკომუნიკაციო შახტის სიმაღლე. 27.85 ნიშნულზე შეცვლილია კარის ნახატი.

ფასადებზე შესაღებია კედლების მცირე ნაწილები. დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილები.

ნაწილობრივ შეცვლილია შენობის გაბარიტული ზომები და კოლონების მდებარეობა. ასევე შეცვლილია აივნების ნაწილის გაბარიტები. +21.55 ნიშნულზე, „თ-ზ" მონაკვეთში აწეულია იატაკის დონე დამატებულია კიბის საფეხურები, ხოლო +27.85 ნიშნულზე, „2-2" ღერძთან შეცვლილია შიდა კიბის ფორმა.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე მუხლის, ა.ს.კ. მე-2 მუხლის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 62-ე მუხლის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „გონი"-ს, ქ. თბილისში, ქუჩა გორგასალი, №49-ში (საკ. კოდი №01.18.06.001.014) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/01173352859-17 01.12.2017წ. განცხადება.
№წ-19/01173352859-17 04.12.2017წ. ბრძანება.

სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე